<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აგვისტო 2022 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბოჭორმის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, დოლაბაურის I ქუჩისთვის, დოლაბაურის III ჩიხისთვის, დოლაბაურის გასასვლელისთვის, დოლაბაურის I ჩიხისთვის საქართველოს ეროვნული გმირის, ალექსანდრე ონიანის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, ბოჭორმის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას, დოლაბაურის I ქუჩას, დოლაბაურის III ჩიხს, დოლაბაურის გასასვლელს, დოლაბაურის I ჩიხს მიენიჭოს საქართველოს ეროვნული გმირის, ალექსანდრე ონიანის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

1 : 2410
ბიბლიოთეკის ქუჩა
ბიბლიოთეკის ქუჩა
ბიბლიოთეკის ქუჩა

ალექსანდრე ონიანი

(1981-2008)

უმცროსი სერჟანტი, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს შინდისთან გმირულად დაღუპული მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, მედლით „სამშობლოსათვის თავდადებული“ და ეროვნული გმირის ორდენით

დაიბადა ლენტეხის რაიონის სოფელ ჯახუნდერში, ვალოდია ონიანისა და რუსუდან გელოვანის მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა. საშუალო განათლება მშობლიური სოფლის სკოლაში მიიღო, მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური და 2006 წელს, ძმის მაგალითით, საკონტრაქტო სამხედრო სამსახური დაწყო.

უფროსი სერჟანტი ალექსანდრე ონიანი, 2006 წლის 30 აპრილიდან 18 სექტემბრამდე, მე-2 ქვეითი ბრიგადის საინჟინრო მესანგრეთა ასეულის I საინჟინრო მესანგრეთა ოცეულის III საინჟინრო ათეულის მესანგრედ, ხოლო 2006 წლის 18 სექტემბრიდან გარდაცვალებამდე, ამავე ასეულის II საინჟინრო მესანგრეთა ოცეულის III საინჟინრო ათეულის მეთაურად მსახურობდა. 2008 წლის 7 აგვისტოდან იბრძოდა რუსეთ-საქართველოს ომში.

2008 წლის 11 აგვისტოს, უმცროსი სერჟანტი ალექსანდრე ონიანი, მე-2 ქვეითი ბრიგადის საინჟინრო ქვედანაყოფთან ერთად, საავტომობილო კოლონით, გორის რაიონის სოფელ შინდისის ტერიტორიაზე გადაადგილდებოდა, რა დროსაც შინდისის რკინიგზის სადგურზე, ქართული ქვედანაყოფი რუსული მოტომსროლელი ბატალიონის ჩასაფრებაში მოყვა. ონიანი მყისიერად ჩაერთო უთანასწორო დაპირისპირებაში, რომელიც საქართველოს სამხედრო ისტორიაში „შინდისის ბრძოლის“ სახელით არის ცნობილი.

„შინდისის ბრძოლაში“, სადაც ორმხრივი სროლა 70 მეტრის რადიუსში მიმდინარეობდა, ალყაში მოქცეულ ქართულ ქვედანაყოფს საბრძოლო რესურსი მხოლოდ საათსა და ოც წუთს ჰქონდა, თუმცა ამის მიუხედავად, ქვედანაყოფმა მოწინააღმდეგეს დიდი დანაკარგი მიაყენა.

„შინდისის ბრძოლაში“ 17 ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. საბოლოოდ, მათგან ალყაში ორნი - უფროსი სერჟანტი ალექსანდრე ონიანი და მისი ნათლული, კაპრალი რომან ზოიძე დარჩნენ. კაპრალი ზოიძე დაჭრილი იყო და სისხლისგან იცლებოდა, თუმცა ონიანმა, რომელიც ამ დროს სრულიად უვნებლად იყო, თანამებრძოლის მოთხოვნის მიუხედავად, ის არ მიატოვა. უფროსმა სერჟანტმა ალექსანდრე ონიანმა, ტყვედ აყვანის საშიშროებისთანავე, ხელყუმბარით თავი აიფეთქა, მოწინააღმდეგეს არ ჩაბარდა და მისი ცოცხალი ძალა დააზიანა.

2021 წლის 11 აგვისტოს, „შინდისის ბრძოლიდან“ მე-13 წელს, უფროს სერჟანტ ალექსანდრე ონიანს საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა. ის ასევე დაჯილდოებულია „ვახტანგ გორგასლის“ I ხარისხის ორდენით და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უწყებრივი მედლით „სამშობლოსათვის თავდადებული“. დაკრძალულია ლენტეხის რაიონის სოფელ ჯახუნდერის სასაფლაოზე.